

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ. №35 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს: 50 კრედიტი სასწავლო კურსები (40 კრედიტი სავალდებულო და 10 კრედიტი არჩევითი) და 10 კრედიტი პედაგოგიური პრაქტიკა. სავალდებულო სასწავლო კურსებიდან 25 კრედიტი ეთმობა პედაგოგიურ მეცნიერებებს და 15 კრედიტი საგნის სწავლების მეთოდიკას
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში ან დამოუკიდებლად არსებულ 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამას. მისი გავლა სავალდებულოა საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლობის მსურველთათვის. პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულები დაეუფლებიან მასწავლებლობისათვის აუცილებელ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ღირებულებებს, ძირითად სპეციალობაზე მიღებული თეორიული ცოდნის სწავლება/სწავლის მეთოდიკას, შეძლებენ განახორციელონ მოსწავლეებისათვის ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად თანამედროვე ხარისხის განათლების მიცემას და მასწავლებელთა ერთიანი ეროვნული სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარებას, მამდიებლობის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობას.</p> <p>პროგრამის მიზანია აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგანთა ჯგუფის მასწავლებელი.</p> <p>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი. სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემთხვევაში დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებლად და/ან სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.</p>
სწავლის შედეგები (დარგობრივი კომპეტენციები)	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. აქვს ცოდნა პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებში;</li> <li>2. იცნობს საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურასა და მიზნებს;</li> <li>3. ფლობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურისათვის საგნის სწავლების მეთოდიკას; სწავლება/სწავლის, კითხვის, წერის სტრატეგიებს და შეფასების თანამედროვე სისტემის თეორიულ საფუძვლებს.</li> <li>4. აქვს მშობელთა და მოსწავლეთა კონსულტირებისათვის საჭირო ცოდნა;</li> <li>5. გაცნობიერებული აქვს განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის როლი საერთო საგანმანათლებლო სივრცეში;</li> <li>6. აქვს ცოდნა ჯანსაღი, უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობის შესახებ.</li> </ol> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების პრაქტიკაში გამოყენება;</li> <li>2. განურჩევლად მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობებისა შეუძლია მოსწავლეებისათვის თანაბარი და სამართლიანი სასწავლო გარემოს შექმნა;</li> </ol>

	<p>3. შეუძლია მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებების გათვალისწინებით და ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო უსაფრთხო გარემოს შექმნა;</p> <p>4. შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებისა და საგნის სპეციფიკის მოთხოვნების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით.</p> <p><b>დასკვნის უნარი:</b></p> <p>1. შეუძლია საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეთა აღზრდა-განათლება-სთან დაკავშირებული კომპლექსური სიტუაციების ანალიზი და დასკვნის გაკეთება;</p> <p>2. აქვს შესაბამის სიტუაციაში ადექვატური გადაწყვეტილების მიღების უნარი, ითვალისწინებს მოსწავლეთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b></p> <p>1. არის კომუნიკაბელური, იცნობს გუნდური მუშაობის პრინციპებს და იყენებს კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან ურთიერთობაში;</p> <p>2. შეუძლია პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა.</p> <p><b>სწავლის უნარი:</b></p> <p>1. შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება და უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა;</p> <p><b>ღირებულებები:</b></p> <p>1. აქვს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი;</p> <p>2. იცნობს და იცავს ეთიკის ნორმებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს;</p>
<p><b>შეფასების წესი</b></p>	<p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b></p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი</b></p>	<p><b>ლელა თავდგირიძე</b> - განათლების ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი</p> <p><b>საკონტაქტო ინფორმაცია:</b></p> <p>ტელეფონი: (+995) 599 506430, ელ. ფოსტა: ltavdgiridze@rambler.ru</p>